პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მეორე

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

13 ნოემბერი
კვირა

1919. სრ. რ. ც. აღ. კომიტეტის დადგენილებით გაუქმებულ იქნა ბრესტის ხელშეკრულება.

საქსონია, ბავარია, ვირტემბერგსა და ბადენში გამოცხადდა საბჭოთა რესპუბლიკა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაგზავნა და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალური ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4. ტელეფონი №

დღეს

რევოლიუციის ოთხი წლის თავის [illegible] საქ. რევკომმა გამოსცა ამნისტია, რომლითაც [illegible] სხვადასხვა [illegible].

რ. კ. პ. კავბიურომ მიიღო რეზოლუცია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ.

№ 210 კვირა, 13 ნოემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი კვირა, 13 ნოემბერი, 1921 წ. № 210

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ

(რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს რეზოლუცია)

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების განცალკევებული არსებობა ასუსტებს მათ კაპიტალისტური და ბურჟუაზიული ქვეყნების წინაშე; მჭიდრო პოლიტიკური კავშირი უზრუნველჰყოფს მათ ყოველგვარ თავდასხმისაგან კონტრ-რევოლიუციონური ძალების მხრით და განამტკიცებს საბჭოთა ხელისუფლებას ახლო აღმოსავლეთის მიჯნაზე.

პოლიტიკური გაერთიანება რესპუბლიკებს საშუალებას მისცემს ნამდვილად დაამყარონ ერთიერთშორის მჭიდრო სამეურნეო კავშირი, რომლის დადგენის ცდა არა ერთხელ ყოფილა წამოყენებული. ხოლო რესპუბლიკების [illegible] აძლიერებს ამიერ-კავკასიის ისედაც მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, ხალხის მასსებს სიღატაკეს და [illegible] და იწვევდა მრავალ გაუგებრობას რესპუბლიკებ შორის. ამიერ-კავკასია წარმოადგენს მთლიან სამეურნეო ერთეულს და მისი ეკონომიური განვითარება შეიძლება წარმოებდეს მხოლოდ საერთო კავკასიის სამეურნეო გაერთიანების გზით. დასასრულ, მრავალრიცხოვანი სახალხო კომისარიატების და დაწესებულებათა არსებობა სამ რესპუბლიკაში ნთქავს ბევრ ძალას და საშუალებას, ქმნის ბევრ ორგანოებში ზედმეტ პარალელიზმს მუშაობაში. ამიტომ [illegible] ცენტრების მთავარი და უმნიშვნელოვანესი დარგების საერთო ძალ-ღონით ადმინისტრატიული მმართველობა გააძლიერებს და [illegible] საბჭოთა მუშაობას.

გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, კავბიურომ გადაუდებელ საჭიროებად მიიჩნია რესპუბლიკებ შორის ფედერატიული კავშირის შეკვრა პირველ ყოვლისა სამხედრო, სამეურნეო, ფინანსიური მუშაობის და საგარეო პოლიტიკის სფეროში.

კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია

კავკასიის დამოუკიდებელი და ავტონომიური რესპუბლიკების: აფხაზეთის, აზერბეიჯანის, სომხეთის, საქართველოს, ნახიჩევანის და სხვ. ხელმძღვანელი წრეები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დაარსებულ იქმნას კავკასიის საბჭოთა ფედერაცია. ეს საკითხი ამ რესპუბლიკების პარტიულ წრეებში დიდი ხანია მომწიფდა, მაგრამ მის პრაქტიკულად დაყენებას ხელს უშლიდა ზოგიერთი ობიექტიური მიზეზი და გარეშე პირობები. თავის თავად იგულისხმება, რომ მუშების მასები მომზადებული არიან ამისთვის, მაგრამ წვრილ ბურჟუაზიული ელემენტები და ზოგი ნაციონალისტურად განწყობილი წრეები ბურჟუაზიულ-შოვინისტურ ინტელიგენციასთან ერთად ამის გამო [illegible] დიდ ყურ-ხურს.

მყვირალთა შორის პირველ რიგებში, როგორც ყოველთვის, სდგებიან, რასაკვირველია, მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები. ისინი ყველა გზა-ჯვარედინზე მორთავენ ყვირილს, რომ ბოლშევიკებმა მოსპეს კავკასიის ხალხების დამოუკიდებლობა, თვითარსებობა და სხვ.; ამასთანავე დაივიწყებენ იმას, თუ თავის დროზე თითონ ისინი არა ერთხელ რიგ-რიგობით როგორ ყიდდენ ამ ხალხებს ინგლისის, გერმანიის და რომელიმე სხვა ძლიერ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებზე. ისინი აგრეთვე არაფერს ეტყვიან მასებს იმის შესახებ, რომ ამ წლის 10 ივნისს მათმა წარმომადგენლებმა ბ-ნ ბრიანის ლოცვა-კურთხევით პარიზში შეკრეს შავი ალიანსი ანუ ფედერაცია კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. მათ ბანს მისცემენ ყველა ცრუ—რევოლიუციონერები, ვითომ-და კომუნისტები და საბჭოთა ხელისუფლების ახლო მახლო „მოღვაწეები“.

მაგრამ ჩვენ ჩვენსას გავაკეთებთ და შევქმნით ფედერაციას, რადგანაც შრომითი მშრომელი მასების და კავკასიის ხალხების ნამდვილი და მიუცილებელი ინტერესები ამას დაჟინებით მოითხოვენ. და, მართლაც, ამ მოთხოვნას საფუძვლად უდევს საერთო პოლიტიკური, ეკონომიური და ორგანიზაციული ინტერესები.

კავკასიის რესპუბლიკები მდებარეობენ გზაჯვარედინზე ახლო აღმოსავლეთისაკენ, რომელსაც როგორც რუსეთის დასავლეთ საზღვრებს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო რევოლიუციის ბედისათვის; და იქაც საბჭოთა ხელის უფლება უნდა იყოს მტკიცე, ერთიანი, ერთსულოვანი ორგანიზაციის მხრივ, რომ მოწინააღმდეგენი — ბურჟუაზიული ქვეყნები,—[illegible] არ დაეცნენ თავს და ცალ ცალკე არ დაახარჩონ აზერბეიჯანი, სომხეთი და საქართველო. ამიტომ ბურჟუაზიულ ბლოკს აუცილებლად წინ უნდა წაუყენოთ საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირი და პირველ რიგში საერთო პოლიტიკის და სამხედრო სფეროებში, რომ [illegible] ვებრძოლოთ კონტრ-რევოლიუციასთან.

ყველამ იცის, რომ ეკონომიურად კავკასია წარმოადგენს მთლიან ერთეულს. ბაქოს ნავთი, სპილენძი, მარგანეცი, მარილი, ბამბა, თამბაქო და ყურძენი ერთნაირად ეკუთვნის აზერბეიჯანსაც, სომხეთსაც და საქართველოსაც. მათი წარმოებისათვის აუცილებელია მხოლოდ რესპუბლიკების ძალების შეერთება; მათი წარმოების პროდუქტები სჭირდება მთელ კავკასიას. იგივე ითქმის სასურსათო მუშაობის შესახებაც. საბჭოთა რესპუბლიკების პირველივე დღეებიდან მათი სურსათით უზრუნველყოფა დაყენებული იყო [illegible] საერთო [illegible]; ისინი ერთმანეთს [illegible] პურს ისინი იღებენ რუსეთიდან, ბაქოდან და სპარსეთიდან და იხმარებენ ერთმანეთში; მომავალში კი კავკასია თავის თავს დამოუკიდებლად გამოკვებავს, რადგანაც [illegible] მუღანის და სოღანლუღის ველები [illegible] მარტო აზერბეიჯანის და სომხეთის ძალღონით კი არა, არამედ კავკასიის რესპუბლიკების შეერთებული ძალებით.

ჩვენს ეკონომიას ამაგრებს რკინის გზები, ფოსტა-ტელეგრაფი და ფინანსები. რკინის გზების გაერთიანებამ დაგვანახა, რომ ზოგიერთ ხაზებზე გზის მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ რამოდენიმე [illegible] მოძრავი შემადგენლობის განაწილება რესპუბლიკებ შორის [illegible] რომლებსაც ადგილი ჰქონდათ რკინის გზის ხაზზე საზღვრებთან, ისტორიას ჩაბარდა. ჩვენ რასაკვირველია წინდაწინვე ვგრძნობთ, რომ მენშევიკები დაგვაბრალებენ საქართველოს გაცარცვას და რკინის გზების მოშლას; მაგრამ ეს ვაჟბატონები სწორედ იმისთვის არიან წმინდა წყლის ნაციონალისტები, რომ ასე იყვირონ ყოველდღე და ყოველთვის.

კავკასიის რესპუბლიკებმა გაერთიანებულად უნდა გამოვიდნენ ფინანსიური პოლიტიკის, რკინის გზათა მეურნეობის, ფოსტა-ტელეგრაფის და საგარეო ვაჭრობის საკითხების სფეროში. ისინი რამოდენიმედ ეხლაც ასე იქცევიან და მომავალში სავსებით განახორციელებენ საერთო გამოსვლას. სამეურნეო და სასურსათო დაბრკოლებანი უფრო უკარნახებენ კავკასიის რესპუბლიკებს ფედერაციის საჭიროებას.

ბოლოს, კავკასიის ფედერაცია შეამოკლებს ჩვენი დაწესებულებების რიცხვს, დაიცავს ძალების ეკონომიას, შექმნის სრულ კონტაქტს ადმინისტრატიულ აპარატებს შორის და ამით წამოაყენებს ჩამორჩენილ რაიონებს, საჭიროების მიხედვით უფრო ძლიერ ოლქებიდან ძალების გადასროლით ნაკლებად მოწყობილ ადგილებში და ყველა ეს ხელს შეუწყობს საბჭოთა აღმშენებლობის განვითარებას. როგორც დამოუკიდებელი ისე ავტონომიური რესპუბლიკების ორგანიზაციული კავშირი უთუოდ უზრუნველყოფილი იქნება სწორედ საბჭოთა კავკასიის თავისუფალ ხალხების ფედერაციის დროს.

კონკრეტიულად როგორ გვესმის ჩვენ ეს ფედერაცია?

სათავეში მთელი კავკასიის მასშტაბით, უნდა იდგეს შეკავშირებული ორგანო ანუ ფედერატიული საბჭო ყველა პოლიტიკურ-ეკონომიური ფუნქციებით მმართველობის იმ დარგებში, რომლებიც ამოიხსნება ცალკე რესპუბლიკების გამგებლობიდან და გადაეცემა ფედერაციას. ასეთი დარგები მაგალითად იქნებიან: საგარეო საქმეები, არმია, ბრძოლა კონტრ-რევოლიუციასთან, საგარეო ვაჭრობა, ფინანსები, რკინის გზები, ფოსტა-ტელეგრაფი და, შეიძლება მუშა გლეხთა ინსპექციაც. ამ ფედერატიულ ორგანოებს რესპუბლიკებში ექნებათ, რასაკვირველია, თავისი აპარატები. შეკავშირებულ მთავრობასთან უნდა დაარსდეს კავკასიის ეკონომიური საბჭო (შრომის და თავდაცვის საბჭო), როგორც კავკასიის მეურნეობის მომწყობი და მმართველი ორგანო. რაც შეეხება დანარჩენ კომისარიატებს და რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, ისინი განაგრძობენ თავის არსებობას და რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, თვითარსებობა ამით არ მოისპობა.

წინააღმდეგ, რესპუბლიკები, როგორც ასეთები, იცხოვრებენ და განაგრძობენ განვითარებას, ვინაიდან კავკასიის საბჭოთა ფედერაციის მთელი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოფილი იქმნეს კავკასიის ხალხთა დამოუკიდებლობა და თავისუფლება, გაერთიანდეს რესპუბლიკების დაქსაქსული ძალები, მოისპოს მათი ეკონომიური განცალკევება და შეიქმნეს ისეთი ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომელიც შესძლებს მოპოვებულ თავისუფლების დაცვას და კავკასიის მშრომელი მასების კულტურულად განვითარებას. ვიმეორებთ, ჩვენმა მტრებმა—ევროპის კაპიტალისტურმა [illegible] და მისმა ლაქია-მენშევიკებმა, დაშნაკელებმა და მუსავატელებმა—ჯერ შეკრეს ერთმანეთში შავ-ყვითელი ბლოკი კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ბლოკს დაუპირდაპირებთ ჩვენ ძმურ, შრომის კავშირს, გულწრფელ და ძლიერ კავშირს, სამეურნეო და პოლიტიკურ კავშირს, რადგანაც ჩვენ არ გვსურს დავმარცხდეთ ცალ ცალკე, არამედ გვინდა შევუტიოთ მტერს გაერთიანებული და ძმური ერთსულოვანი შეტევით; ჩვენი ერთი ამხანაგის მოსწრებული სიტყვის არ იყოს, ჩვენ სრულიადაც არ გვიზიდავს პარიზის ემიგრაციის პერსპექტივა და იქ ფედერატიული კავშირის დაარსება. ასეთი კავშირი ჩვენ გვინდა, და აუცილებლადაც განვახორციელებთ, ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მიწაზე.

ა. მიასნიკოვი.

წითელ რესპუბლიკებში

საქართველო

ფოთის რევკომის მოღვაწეობა.

(საქართველოს რევკომის საინფორმაციო განყოფ. ცნობა.)

მარტის 15 დან აგვისტოს 2 დეს ფოთის რევკომს ჰქონდა 21 სხდომა, სადაც გაირჩა 126 საქმე. დაარსებულია შემდეგი განყოფილებანი: შინაგან საქმეთა მმართველობისა, კომუნალურ მეურნეობისა, შრომისა, სოციალურ უზრუნველყოფისა, ფინანსთა, სურსათისა, სახკონომიო, მუშათა და გლეხთა ინსპექცია, ჯანმრთელობისა, იუსტიციის, სახალხო განათლებისა და ნავთსადგურის სამმართველო. კომუნალურ განყოფილებამ გახსნა: საბჭოთა საპირფარეშო, ტანსაცმლის და ფეხსაცმელის სახელოსნო, სადურგლო, საზეინკლო, სამჭედლო, სასაკლაო, აბანო და სასენიზაციო [illegible]. საბინაო განყოფილებამ აღწერა 1129 ბინა, სხვა და სხვა კერძო და სამხედრო ნაწილებს მიეცათ 697 ბინა.

სამიწათმოქმედო ქვეგანყოფილებამ დათესა 5 ქცევა სიმინდი, 4 ქცევა ბოსტანი, გასცა იჯარით 400 ქცევა სახნავი, საიდანაც ქვეგანყოფილება ღებულობს მეოთხედს. განყოფილებას ყავს რამოდენიმე ძროხა, ადგილობრივ [illegible] განყოფილება ყოველდღე აწვდის რძეს. განყოფილებამ შეიტანა 316 ფ. სათესლე სიმინდი. ტექნიკურმა ქვეგანყოფილებამ მოაწყო და შეაკეთა ჯარის სადგომში ბინები, როგორც ქალაქის ისე კერძო მეპატრონეთა. შეკეთდა რევკომის განყოფილების შენობები, ხიდის იატაკი და სამი საბავშვო ბაღი, სასკოლო შენობები, ქუჩები და ქუჩის ბოგირები. ქვეგანყოფილება სცდილობს „ჩემო“-ს მიერ დაწყებულ აბანოს დამთავრებას. სანიტარული ქვეგანყოფილება ზომებს ღებულობს, რომ მუშა-მოსამსახურეთა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა გაუმჯობესებულ იქნეს. განყოფილება განსაკუთრებულ ყურადღებით ეპყრობა ახალ-სენაკის და ზუგდიდის საინსპექციებს. ქვეგანყოფილებამ ავანსის სახით მიიღო 15 626 000 მან. მიმდინარე ხარჯების დასაფარავად და მოსამსახურეების დასაკმაყოფილებლად დარჩა 12.136.020 მან. სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ გასცა შრომის უნარ დაკარგულებს, ქვრივ-ობლებს და უკიდურეს მდგომარეობაში მყოფ მცხოვრებლებზე 3 610 000 მან. უფასო სადილი.

პენსიონერებზე პენსიის მაგიერ სურსათი 19.301 476 მან. ღირებული, პენსიის სახით ფულად 105.000 მან. წითელ არმიელების ოჯახებს ფულად 88.875 მან. ავადმყოფებს ერთდროვით უფასო დახმარება. ფულადაც მიეცათ 118,000 მან. ზოგიერთებს დაერიგათ 136 000 მან. ტანისამოსი. სასურსათო კომიტეტმა დაამზადა და სასურსათო სახკომისარიატიდან მიიღო 5464 ფუთი და 20 გირვანქა სიმინდი. 5663 ფუთი თევზი, 199 ფ. 13 გირვ. ლობიო, 139 ფ. 5 გ. სიმინდის ფქვილი, 748 ფ. 5 გ. მუხუდო, 643 ფ. პურის ფქვილი, 52 ფ. მატყლი, 48439 ფ. 25 გ. მარილი, 61 ფ. 12 გ. ხორბალი, 18 ფ. შაქარი, 194 ფ. 39 გ. ბრინჯი, კომიტეტმა შეიძინა ორმოცდა ორი თავი სხვა და სხვა ოთხფეხი პირუტყვი. მუშა მოსამსახურეებისთვის დაირიგა 5459 ფ. 29 გ. სიმინდი, 2499 ფ. 8 გ. [illegible], 100 ფ. 13 გ. ლობიო 139 ფ. სიმინდის ფქვილი, 550 ფ. მუხუდო, 344 ფ. პურის ფქვილი, მატყლი 24 ფ., მარილი 47.000 ფ. [illegible] 52 ფ. შაქარი 18 ფ., ბრინჯი 97 ფ. 14 გ.

ფოთის ყველა დაწესებულებებში ირიცხება 2897 მოსამსახურე, ამათი ოჯახის შემადგენლობა უდრის 6278 კაცს—სულ 9.175 სულს. სახკონომიო განყოფილებამ მოახდინა ფოთში და მის რაიონებში არსებულ ქარხნების ნაციონალიზაცია.

სახკონომიო განყოფილება შეუდგა [illegible] და დაზიანებულ ხე-ტყის მასალის აღრიცხვას.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა 18 ფაქტიური რევიზია. სხვა და სხვა უწყებებზე და პირთა მოქმედებებზე შემოვიდა 17 საჩივარი [illegible] შემოვიდა 55 [illegible] 127.269.478 მან. მათ შორის დამტკიცებულია 651.600 მ. პირობით დამტკიცებულია 39.210.000 მან. არ დამტკიცდა 75 ათასი მან. შემდგომ რევიზიისათვის გადაიდვა 88.085.797 მან.

ჯანმრთელობის განყოფილება ამუშავებს 120 კაცს. აფთიაქებში 30. [illegible] შრომის [illegible]. ქალაქის ამბულატორიაში მსახურობს 4 ექიმი, ორი ფერშალი და ერთი კბილის ექიმი. განყოფილებამ დახარჯა წამლების და მიმდინარე ხარჯებზე 45.000.000 მან.

გორის რევკომის მოღვაწეობა.

მიწის განაწილება.

გორის რევკომმა ოქტომბრის 27-ს სხდომაზე მოისმინა კომუნალურ განყოფილების გამგის [illegible] მოხსენება გორის რაიონის მიწების საბჭოთა დაწესებულებების მუშაკთა და სხვა ღარიბ [illegible] შორის განაწილების შესახებ და დაადგინა: წინადადება მიეცეს მიწის კომისიის, რათა საქალაქო მიწები დაურიგდეს საბჭოთა დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა და ღარიბ [illegible] გლეხებს შორის. [illegible] მიწები კი [illegible] მოქალაქეთათვის [illegible].

თანამდებობაზე დანიშვნა.

გორის რევკომმა [illegible] კომუნალურ განყოფილების გამგედ ამხ. ვ. [illegible]. [illegible]

რუსეთი

ოქტომბრის რევოლიუციის 4 წლის თავის დღესასწაული.

მოსკოვი. 12 ნოემ. (რადიო) პეტროგრადში ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაული გამოცხადებულ იქმნა დამშეულთა [illegible] რევოლიუციის [illegible] და გაერთიანებული [illegible] დღე“. საღამოს ქალაქი განათებული იყო ილუმინაციით. პეტროგრადის ქუჩებში იმართებოდა სადღესასწაულო გამოსვლები.

კაპიტალიზმის სამყაროში

საფრანგეთი და ანგორა

ნაუენი, 11 ნოემბ. (რადიო). ბრიანის ბრძანებით, [illegible] ტელეგრაფით გასცა ბრძანება საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ მათ გამოიმუშაონ ნოტის პროექტი ინგლისის პროტესტის საპასუხოთ საფრანგეთ-ანგორის ხელშეკრულების გამო. ინგლისი კატეგორიულად მოითხოვს ამ ხელშეკრულების გაუქმებას.

საფრანგეთი და რუსეთი.

პარიზი, 3 ნოემბ. საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე ბრიანმა თავის სიტყვაში დეპუტატთა პალატაში რუსეთის შესახებ სთქვა: საფრანგეთის დამოკიდებულება რუსეთთან [illegible] საფრანგეთი [illegible] რუსეთის ხალხის და [illegible], მაგრამ ამასთანავე [illegible] რუსეთის მთავრობასთან, რომელთანაც მას არა აქვს არავითარი საერთო. ზოგიერთი სახელმწიფო შეეცადა მასთან ეკონომიური ურთიერთობის დამყარებას, მაგრამ მალე დარწმუნდნენ იმაში, რომ რუსეთს შეუძლია გაზიდოს საზღვარ გარეთ დიდი რიცხვი თავისი პროპაგანდის ვიდრე წარმოების პროდუქტები. დასკვნაში ბრიანმა სთქვა:

მენშევიკური სამეფოს საიდუმლოებანი

IV

იუდა ისკარიოტები მეორე ინტერნაციონალიდან

მენშევიკურ დემოკრატიულ ბალერინებს ძლიერ უყვარდათ თავის სამეფოს ღირსშესანიშნაობათა ქება—გამოფენა: შეხედეთ, ჩვენში დაცულია რევოლიუციის მონაპოვარნი.

თუ მათ დაუჯერებთ, მთელს დედამიწის ზურგზე ჯერ არ ყოფილა ისეთი თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყანა, როგორც დამოუკიდებელი საქართველო. მუშები და გლეხები აქ ისე ცხოვრობდნენ, როგორც სამოთხეში: მუშათა და აგრარული კანონმდებლობანი მთელს მსოფლიოში ყველაზე უფრო სრული და უკეთესია, პოლიტიკური თავისუფლება განხორციელებულია სავსებით.

განსაკუთრებით ბევრს გაიძახოდნენ მენშევიკები პოლიტიკური თავისუფლების შესახებ საქართველოში. **ამავე დროს... დემოკრატიული საქართველო, მოხდენილად ხოლმე, გენერალ დენიკინს [illegible] კომუნისტ-ლტოლვილებს, რომლებიც [illegible] არმიას.**

როგორც ცნობილია, სხვა ქვეყნების პოლიტიკური ემიგრანტებისათვის თავშესაფარის მიცემას სცნობენ თვით ბურჟუაზიული მთავრობები, როგორც ინგლისის, შვეიცარიის, ამერიკის.

მენშევიკების გამცემლობის ფაქტი თავის დროზე გამოქვეყნებული იყო რ. კ. პ. კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ. (წერილი № 13 რ. კ. პ. კავკ. სამხარეო კომიტეტისა, 1919 წლის 15 აპრილის თარიღით, დაიბეჭდა გაზეთ „სოციალ-დემოკრატ“-ში № 64).

მენშევიკებმა მაშინ მთელი დანაშაული გადააბრალეს პოლკოვნიკ წერეთელს, რომელმაც თითქო თავისი პასუხისმგებლობით ჩაიდინა დასახელებული გამცემლობა. ბ.ბ. ჟორდანიას და გეგეჭკორის [illegible] ამ საქმის გამო რაღაც გამოძიებაც კი იყო დანიშნული.

მაგრამ არქივის მასალები სრულ საშუალებას გვაძლევენ გამოვარკვიოთ, ვინ იყო ამ საქმის ჭეშმარიტი სულის ჩამდგმელი, ხოლო ვინ უბრალო აღმასრულებელი.

მაგრამ პირველ ყოვლისა [illegible] ერთი ერთი დაზარალებულთაგანი, მენშევიკების მიერ გაცემული პირი, რათა [illegible] ქართველი მენშევიკების ამ ჭეშმარიტად კაინისებური საქმის სურათი.

„ჩვენება მოქალაქე [illegible] პოლკოვნიკ წერეთლის მიერ დენიკინისადმი კომუნისტთა ჯგუფის გაცემის საქმის გამო.

ამა 1919 წლის 8 აპრილს ჩვენ, ორმოცდა ორი კაცი, რომელთა შორის იყვნენ თერგის რესპუბლიკის კომისრები, კომისრების მოადგილენი და ბავშვები, წითელ არმიელები და სამოქალაქო ომის საშინელებისაგან ისე უბრალო გამოქცეულნიც, სამი ჯგუფად დავეშვით ინგუშეთიდან [illegible] ქისტანის ხეობით და გამოვედით საქართველოს სამხედრო გზაზე, სადარაჯოსთან, თამარ მეფის ციხის ნანგრევების პირდაპირ. მოდარაჯე ჯარის-კაცებმა ჩვენ დაგვიჭირეს და აცნობეს მორიგ ოფიცერს ციხე დარიალში.

დილის 8 საათზე ციხიდან მოვიდა კაპიტანი, რომელსაც ჯარის-კაცები სხვა და სხვა გვარს ეძახდნენ. ერთნი მას ეძახდნენ კაპიტან ნაჩხანიას, მეორენი—გურგენიძეს, ხოლო მესამენი—ბაქრაძეს. კომისარ ელერდოვის ცოლს უნდოდა მიემართნა კაპიტანისათვის, მაგრამ მან მკვახედ შეაჩერა იგი. „გაჩუმდით! რა ლაპარაკია! მე არა ვარ ჩვეული, რომ ჩემთან ლაპარაკობდნენ“.

ჩვენ ვთხოვეთ, რათა თბილისში გავეგზავნეთ, თუნდაც მხლებლებით. კაპიტანმა განაცხადა, რომ ეს ჩვენი საქმე არ არის და თვითონ იციან, რას იზამენ.

„გასვლის ნებართვა არა გვაქვს, ამიტომ არ შეიძლია გადაშვებათ ყაზბეგამდე“, განმარტა კაპიტანმა, და უბრძანა ჩვენ გავერეკეთ ციხისაკენ. სიმაგრესთან კაპიტანი შეჩერდა და სთქვა: „აქ“. ჩვენ მოვკალათდით კედელთან გარედ, ღია ცის ქვეშ. მოდიოდა თოვლი და წვიმა. ჩვენ მთლად სველები ვიყავით. ბავშვები ტიროდნენ. რამოდენიმე ჯერ მივმართეთ, რათა ჩვენ შევეშვით შენობაში ან ჭერ ქვეშ, მაგრამ უარს გვეუბნებოდნენ. აგრეთვე არ უშვებდნენ შენობაში ქალებს და ბავშვებს. ჯარის-კაცებს მოჰქონდათ ჩვენთან პურის ნაჭრები, დაინთეს ცეცხლი და [illegible], რომ ჩვენ ასე სასტიკად გვეპყრობოდნენ. ქალებ შორის იყო ა. გეგეჭკორის მეუღლე. მან დაასახელა თავი და თქვა, რომ აქვე არიან ელერდოვის, ბუტირინის და სხვათა მეუღლენი.

მაშინ ქალები ყაზარმაში გადაიყვანეს. დილის 11 საათზე ჩვენთან გამოვიდა იგივე კაპიტანი, მე-3-ე მოსაზღვრე პოლკის პოდპრაპორშჩიკი და ჯარის-კაცები—და გვიბრძანეს ჩვენ ერთ რიგათ დარაზმვა. კაპიტანმა სთქვა: „მე ველაპარაკე ტელეფონით. ახლა მოვა აქ პოლკოვნიკი წერეთელი, დაგკითხავთ, შემდეგ, ალბად, თბილისში გაგგზავნიან. ყაზბეგში სასტიკად გაგჩხრეკავენ, ამიტომ, თუ ვინმეს აქვს იარაღი, ახლავე ჩააბარეთ“. იარაღი ჩვენ არავის არ გვქონდა. უკანასკნელი ორი რევოლვერი რომელიღაც კომისარმა [illegible] იქვე გამვლელ სოფლელს, როცა საზღვრებს მიუახლოვდით.

„იარაღი ჩვენ არ გვაქვს“, უპასუხეთ ერთხმად. „[illegible] თქვენი სიტყვა,—განაგრძო კაპიტანმა. ახლა თქვით, ვის რამდენი ფული გაქვთ. მხოლოდ სიმართლე ილაპარაკეთ. გზაზე შეიძლება გაცარცვონ და სკანდალი გამოვა. ჩვენ ეს გვჭირია რეგისტრაციისათვის. ჩვენ ვეუბნებოდით, ხოლო კაპიტანი სწერდა პატარა ბლოკ ნოტში, თუ ვის რამდენი ფული გვქონდა. მე არ ვიცოდი, რამდენი ფული მქონდა და უთხარი, რომ მაქვს სამი ათას მანეთამდე.

დღის ორ საათზე ციხეში მოვიდა პოლკოვნიკი წერეთელი. იგი შევიდა ყაზარმაში. ელაპარაკა თუ არა ქალებს და სახელდობრ რის შესახებ, მე არ ვიცი. ამ დროს მე ვიყავი ჯარისკაცთა დუქანში. მალე პოლკოვნიკი წავიდა დარიალის ხიდისაკენ. ჩვენ კვლავ დაგვაწყვეს შერენგად და ისევ მოვიდა იგივე კაპიტანი მეორეს თანხლებით, რომელსაც [illegible], ეს ეს იყო მორიგეობა მიელო.

„ფროლკოვ, თქვენ გაქვთ ოთხი ათას ხუთასი მანეთი. დაიტოვეთ თავისთვის 100 მანეთი, 4400 მანეთი კი მოიტანეთ აქ. „როგორ ასე“, გაკვირვებით იკითხა ფროლკოვმა. „ლაპარაკი არ იყოს“, დაუყვირა მას კაპიტანმა. ფროლკოვმა მისცა კერენსკის 2 ათას მანეთიანი, ხოლო ორი 250 მანეთიანი უნდოდა დაეტოვებინა თავისთვის.

ნუ შეგვაჩერებთ! ნუ შეგვაჩერებთ! უბრძანა მეორე კაპიტანმა და ფროლკოვმა გადასცა სულ.

მერე მან გამოითხოვა [illegible] 200 მან. მე ჩამომართვეს 2400 მან. კერენსკის ფული. ეს იყო ჩემი უკანასკნელი ფული.

[illegible] ჩამოართვეს რამოდენიმე ათასი კავკასიის სახალხო ფულებით. ბელოვისაგან წაიღეს 300 მანეთამდე ნიკოლოზის ფული და სხვა.

სულ ჩამოგვართვეს ოცი ათას მანეთამდე (20.000 მან.)

[illegible] მოეცათ თითოეული ჩვენთვის ბარათები, მაგრამ მოგვცეს საერთო ბარათი, რომელიც ინახება ფროლკოვთან.

ფულის ოპერაციის შემდეგ პირველმა კაპიტანმა განგვიცხადა: „საქართველოს მთავრობის განკარგულებით ყველა ქალებს ვგზავნით თბილისში მხლებლებით, ხოლო თქვენ გგზავნით კავკასიაში დენიკინთან“.

ამან ჩვენ ყველა გაგვაოცა: ჩვენ დავუწყეთ ყოველნაირად ხვეწნა და მუდარა კაპიტანს, ნება დაერთო ჩვენთვის ისევ წავსულიყავით უკან ინგუშეთში ან სადაც ინებოდა, მაგრამ მხოლოდ არა დენიკინთან. „არაფრის გაკეთება თქვენთვის არ შემიძლია; აი თხოვეთ პოლკოვნიკს თქვენ თვითონ გიმსახურიათ და იცით: რასაც უფროსი გიბრძანებს, ის უნდა გააკეთო“, გვიპასუხა კაპიტანმა.

მეორე კაპიტანმა სთქვა: „ბატონებო, ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის დაკარგული! იქ ხიდესთან დგას პოლკოვნიკი. ის კარგი კაცია, კეთილი, თხოვეთ მას და იგი თბილისში გაგიშვებთ, ან ნებას დაგრთავთ დაბრუნდეთ ინგუშეთში“. ჩვენ შემოგვეერტყნენ ჯარისკაცები და წაგვიყვანეს ხიდისაკენ.

წინ მიდიოდა მეორე კაპიტანი. ჩვენ გროვად მივდიოდით. ბევრი წითელ არმიელი ტიროდა. ჩვენ უკან მიდიოდა ბუტირინი თავისი ცოლით. ცოლმა არ მოისურვა თავისი ქმრის მიტოვება და უარი სთქვა ქალებთან თბილისში წასვლაზე. მას ისტერიკა მოუვიდა და ის კი არ მიყავდათ, პირდაპირ მიათრევდნენ მიწაზე ორი ჯარისკაცი.

პოლკოვნიკთან მოსალაპარაკებლად ჩვენ ავირჩიეთ ორი კაცი: ფროლკოვი (ინტელიგენტი, ახალგაზრდა, უმაღლესი განათლებით, ქ. კავკავის მთავრობის შვილი) და კიდევ ერთი, როგორც ამბობდნენ, გენერალურ შტაბის კაპიტანი (ლტოლვილი პიატიგორსკიდან).

დაგვინახა თუ არა პოლკოვნიკმა, დაიყვირა ლითონისებური მკვახე ხმით:

„კაპიტანო, ეს რა უმსგავსობაა! როგორ მოგყავთ ხალხი! ეს რა ჯოგია! ჩვენ დავლაგდით და შევჩერდით. ფროლკოვი მივიდა პოლკოვნიკთან. „ბატონო პოლკოვნიკო!“ დაიწყო მან...

— მე თვითონ ვიცი, რომ პოლკოვნიკი ვარ,—შეაწყვეტინა მას წერეთელმა,—გაჩუმდი შე საძაგელო, არამზადავ! გამეცალე! (დედის შეგინებით) ფროლკოვმა განაგრძო: „ნება მოგვეცით...

— არაფრის ნებას არ მოგცემთ, ძაღლის შვილო, არამზადავ! მომშორდი! სატანავ!—ყვიროდა პოლკოვნიკი, სრულიად გონება-დაკარგული.

ფროლკოვი თხოვდა მას ისე მოქცეოდნენ მათ როგორც ენებათ, მხოლოდ დენიკინთან არ გაეგზავნეთ.

— დაიკარგე აქედან! ტფუ! წყეულ იყავ! სატანავ წყეულო!—ყვიროდა წერეთელი. ჰეი ჯარისკაცო! თოფი ხელში! გარეკე, გარეკეთ ესენი! სცემეთ მათ!

პოლკოვნიკმა აქვე მდგომ ჯარისკაცს გამოგლიჯა ჯოხი და დაარტყა ფროლკოვს თავში მარცხენა ყურთან. შემდეგ წერეთელმა ფროლკოვს დაარტყა ჯოხი სამჯერ მარცხენა ხელზე. ფროლკოვი იდგა გაშეშებული. წერეთელმა კრა მას ჯოხი მკერდში. მიცვივდნენ ჯარისკაცები კონდახებით და დაუწყეს ცემა თოფის კონდახებით. წერეთელმა ჯოხი გაარტყა [illegible] გვერდში. ჩვენ თანდათან ხიდისაკენ გაგვრეკდნენ, ბევრი წითელ არმიელი ღრიალებდა, ბევრი ჩვენთაგანი ტიროდა. იქ ხდებოდა [illegible] და უზნეო სურათი, შესაზარ-შემზარავი, წარმოუდგენელი. თითქო ყველანი ერთბაშად დაითვრნენ. პოლკოვნიკი აძლიერებდა ალიაქოთს, იქნევდა რა ჯოხს.

როდესაც ჩვენ ხიდესთან მივედით, მე უკან მოვიხედე. ხიდზე [illegible] იდგა რომელიღაც წითელ არმიელი, ველურად ღრიალებდა და განუწყვეტლად თავს უკრავდა [illegible].

შემდეგ იგი ეცა თერგისაკენ, მაგრამ ხელი სტაცეს ჯარის-კაცებმა და ჩვენსკენ გადმოიყვანეს. წერეთელთან მივიდა ამ დროს ბულე, მასთან მიათრევდნენ მის ცოლს.

პოლკ. წერეთელმა მათ ნება დართო თბილისში წასულიყვნენ.

ჩვენ 29 კაცის რაოდენობით გაგვრეკეს სადგ. ლარსისაკენ, სადაც უნდა მოსულიყო კაზაკთა რაზმი.

წინ მიდიოდა კაპიტანი, ხოლო ჩვენ გარშემო მიდიოდნენ შეიარაღებული ჯარის-კაცები.

უცბად რაღაცნაირად მოულოდნელად გადავარდა წყალში სწორედ ის წითელ არმიელი, რომელიც უაზროდ ღრიალებდა ხიდზე. ამ მომენტში ისარგებლა გლებოვმა და გაიქცა კლდეებისაკენ. წითელ არმიელი ამოათრიეს წყლიდან და ჩვენ იქით გაგვრეკეს.

როდესაც მიგვიყვანეს სადგ. ლარსის დანგრეულ შენობასთან, კაპიტანი წავიდა წინ კაზაკების სადარაჯოსაკენ. ამ დროს მე გავიქეცი, გადავედი ხრამში თერგთან. შემდეგ, როცა მოვიდნენ კაზაკები, გაიქცნენ ნაუმოვი და ლენცოვი.

სულ გაიქცა ხუთი კაცი. კაზაკებს გადაეცა 24 კაცი. სცემეს მათ კაზაკებმა თუ არა, არ ვიცი. დავინახე, თუ როგორ ერთ წითელ არმიელს კაზაკმა კონდახი დაარტყა თავში, როდესაც ის განზე გავიდა.

არაფერი მეტის თქმა არ შემიძლია.

[illegible]“ (1919 წ. სამხედრო არქივიდან).

მენშევიკები ყოველნაირად იმიჯნებოდნენ თავის ყოჩაღ პოლკოვნიკის მოქმედებისაგან, რომლისთვისაც, აქ შეიძლება ითქვას, ერთ დროს განზრახულიც კი იყო ამ გამცემლობისთვის დაჯილდოვება მიეცათ სამსახურში. მაგრამ ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ ბ. წერეთლის დამოუკიდებლობას მთელ კოშმარულ ისტორიაში.

ჩვენ კატეგორიულად ვამტკიცებთ: არხეინად პოლკოვნიკი წერეთელი მოქმედებდა საქართველოს მენშევიკური მთავრობის ინსტრუქციის თანახმად. ამაში ჩვენ გვარწმუნებს მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებიდან სჩანს, რომ საკითხი ბოლშევიკების გაშვებაზე თუ გაუტარებლობაზე საქართველოს სამხედრო გზით 1919 წლის იანვრის და თებერვლის განმავლობაში შეადგენდა განხორციელებულ მოლაპარაკების საგანს გენერალ უოკერსა და საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრს შორის.

საქმე ამგვარად იყო: მოკავშირეები იძლეოდნენ დირექტივებს, ქართველი მენშევიკები მათ ღებულობდნენ, გადასცემდნენ თავის ადმინისტრატიულ ორგანოებს, რომელთაც ასეთები სისრულეში მოყავდათ. მოკავშირენი, როგორც ეს დოკუმენტებიდან გამოჩნდება, ხშირად ცვლიდნენ თავის პოზიციას ბოლშევიკების გაშვების საკითხში საქართველოს სამხედრო გზით. მაგრამ მენშევიკები ყოველთვის ცნობად და ასასრულებლად ღებულობდნენ „მოკავშირე დემოკრატიის“ მითითებებს. აი რას ამბობენ ამის შესახებ ჩვენს განკარგულებაში მყოფი მასალები.

საბუთი № 1

18 თებერვალი 1919 წ.
№ 99 6.

თქვენო აღმატებულებავ.

12 ამა თვეს საღამოთი ჩემი წარმომადგენლის თქვენთან მოლაპარაკებასთან დაკავშირებით კავკავის რაიონიდან რუს-ბოლშევიკ-ლტოლვილების განსაზღვრული რაოდენობის შემოსვლის შესახებ საქართველოში.

ამ ქ მათ მე არ ვხედავ დაბრკოლებებს თქვენი აღმატებულების მიერ განზრახულ ზომებისათვის, სახელდობრ: განიარაღებულ იქნან ბოლშევიკები ყაზბეგში, გატარებულნი საქართველოს სამხედრო გზაზე დამცველი რაზმით და დაკავებულნი მცხეთაში.

მაგრამ საჭიროა ნათლად შევიგნოთ, რომ საქართველოში შემოსული ყველა ბოლშევიკები უნდა იქნან დაკავებულნი მცხეთაში და სასტიკად დაცულნი. მე უნდა ვსთხოვო თქვენს აღმატებულებას მომცეთ ამის შესახებ წერილობითი გარანტია, ვინაიდან ხმები დადის, რომ საქართველოს მთავრობას განზრახული აქვს ამ ბოლშევიკების განაწილება მთელს საქართველოში.

შემდეგ თქვენი აღმატებულება მიხვდება, რომ რესპუბლიკაში ამ ბოლშევიკების შემოსვლაზე ნებადართვით საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელი იქნება არა მარტო მათი დაცვისათვის, არამედ მათი გამოკვებისა და [illegible], როგორც სამხედრო ტყვეებისა; [illegible] მოპყრობისათვის მანამდე, სანამ ბოლშევიკური ძალები იმყოფებიან ბრძოლის ველზე, როგორც მოკავშირე ძალების მტრები, შეუძლებელი იქნება ამ ხალხის გადაცემა სხვისათვის დასაცავად. თუ საქართველოს მთავრობა მზად არ არის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა ამ აზრით, აუცილებელი იქნება ბოლშევიკებს აეკრძალოთ საქართველოში შემოსვლა.

აგრეთვე ცხადი და გასაგები უნდა იყოს, რომ ესა თუ ის ბოლშევიკ-ლტოლვილები კავკავიდან, ჩარიცხულნი ბრიტანიის კავკასიელ მისიის დეპარტამენტებში კავკავში 1918 წელს, უნდა გადმოგვეცეს აქეთ ბრიტანელ სამხედრო ხელისუფალთა მოთხოვნით, განსამართლებლად, მიუხედავად მათი ეროვნებისა (სომხები, ქართველები, რუსები და სხვა).

ეს პირობა ეხება აგრეთვე ყველა ბოლშევიკურ ლიდერებს, რომელთა გასამართლება მოკავშირეთა მიერ მოკავშირეთა და [illegible] საწინააღმდეგო მოქმედებებისათვის ბრიტანეთის სარდლობას შეიძლება საჭიროდ მიეჩნიოს.

ყოველ შემთხვევაში მე უნდა დავიტოვო უფლება ჩემი რაზმისათვის, რომელიც მიემგზავრება ყაზბეგში, შეაჩეროს საქართველოს სამხედრო გზით ყველა შემომავალი ბოლშევიკები, თუ ასეთი მოქმედება სასურველი აღმოჩნდება.

მაქვს პატივი ვიყო და სხ...
გენერალი უოკერი.
დედანთან სწორია: (ხელმოწერა).

საბუთი № 2.

24 თებერვალს 1919 წ.
99 | 9.

თქვენო აღმატებულებავ.

იმ საბუთების მიხედვით, რომელიც მე მქონდა მის აღმატებულებასთან, ბ. ჟორდანიასთან, ამა თვის 20 რიცხვს, მივედი იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა აწ წინააღმდეგობა გაუწიოთ საქართველოს გზით ბოლშევიკების შემოსვლას საქართველოში.

და ამიტომ მე ვუგზავნი ბრძანებას ბრიტანელ რაზმის უფროსს, ყაზბეგში წინააღუდგეს ყაზბეგით ბოლშევიკების გავლას.

რათა გაადვილებულ იქმნას ბოლშევიკების იდენტიფიკაცია, ვთხოვე მოხალისეთა ლაშქარს, დანიშნოს ერთი ოფიცერი ბრიტანელ კომენდანტის დამხმარედ და მე წინადადებას ვიძლევი, რომ ეგევე მოიმოქმედოს საქართველოს მთავრობამაც.

ბრიტანელი კომენდანტი ყაზბეგის გზით არ გაატარებს ყველა იმათ, ვისი წინააღმდეგ იქნებიან ბრიტანეთის, საქართველოს და მოხალისეთა წარმომადგენლები.

მაქვს პატივი ვიყო და სხ...
გენერალი უოკერი.
დედანთან სწორია: (ხელმოწერ.).

საბუთი № 3.

№ 1326.
25 | 2 1919 წ.

მის აღმატებულებას, ინგლისის მისიის უფროსს.

თქვენო აღმატებულებავ, პასუხად თქვენი წერილისა 24 თებერვლიდან № 9192 მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ საქართველოს მთავრობამ უკვე 15 ამა თვეს გასცა ბრძანება ყაზბეგის კომენდანტს, პოლკოვნიკ წერეთელს, აწი არ გაატაროს ბოლშევიკები. გარდა ამისა, საჭიროდ მიმაჩნია ვაცნობო თქვენს აღმატებულებას, რომ ჩრდილ. კავკასიაში მოხალისეთა არმიის ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენელთა მხრივ დევნის გამო თავი მოიყარა ქართველ-ლტოლვილთა საგრძნობ რაოდენობამ, სულ დაახლოვებით 15.000 კაცამდე.

საქართველოს მთავრობა საჭიროდ სთვლის მოაწყოს ლტოლვილთა დაბრუნების საქმე საქართველოს ტერიტორიაზე. აი რატომ საქართველოს მთავრობას სრულიად დაუშვებლად მიაჩნია ყაზბეგში მოხალისეთა არმიის წარმომადგენლის ყოფნა, რომელსაც უფლება ექნება [illegible] ქართველ მოქალაქეთა საქართველოში შეშვების საკითხზე.

საქართველოს მთავრობა ფიქრობს, რომ ქართველი ლტოლვილები უნდა იქნან გამოშვებულნი ყოველგვარ დაბრკოლებათა გარეშე; რაც შეეხება სხვა ეროვნებათა პირების გატარებას, ინგლისელ სარდლობის წარმომადგენლის გადაწყვეტილება მსგავს საკითხებში საბოლოო იქნება.

კეთილ ინებეთ მიიღოთ, თქვენო აღმატებულებავ...

გარეშე საქმეთა მინისტრი [illegible].

კანცელარიის დირექტორი ლორთქიფანიძე.

ყველა ეს დოკუმენტები ჩვენ მიერ ამოღებულია საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სამინისტროს არქივიდან. მათგან გამომდინარეობს:

1. მენშევიკურმა მთავრობამ ჯერ კიდევ 15 თებერვალს გასცა განკარგულება პოლკოვნიკ წერეთლისადმი, არ გამოეშვა ბოლშევიკები.
2. უკანასკნელი საბუთის მიხედვით, ყაზბეგში მოწყობილიყო, ასე ვთქვათ, საერთაშორისო კონტრ-დაზვერვა საქართველოს და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთაგან „ბოლშევიკების იდენტიფიკაციისათვის“ ან, რომ ვილაპარაკოთ უფრო ჩვეულებრივი ენით, ბოლშევიკების გამოსაცნობად და, იგულისხმება, დასაჭერად.
3. საქართველოს წარმომადგენელმა, ამ შემთხვევაში პოლკოვნიკ წერეთელმა, მიიღო გარკვეული დირექტივები, რომ საკითხებში, რომლებიც ეხებოდა ლტოლვილებს „უცხოტომელთ“—(რომ შესაფერია მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლებისათვის!), სავსებით დამორჩილებოდა ინგლისის კონტრ-დაზვერვის მითითებებს და მოთხოვნებს.

ყველა ზემო ნათქვამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ პოლკოვნიკმა წერეთელმა გასცა მის ხელთ ჩავარდნილი ბოლშევიკების ჯგუფი. იქიდან, რომ პოლკოვნიკმა წერეთელმა გაატარა ა. გეგეჭკორის ცოლი და სხვა ქალები, სჩანს, რომ პოლკოვნიკი წერეთელი გარკვეულად ასრულებდა საქართველოს მთავრობის ინსტრუქციებს.

მეფის ყოფილმა ოფიცერმა დამოუკიდებლობა მხოლოდ ლტოლვილებისადმი მოპყრობის მანერაში თუ გამოიჩინა: მათი გაცარცვა, მათი მისამართით დედის გინება, ცემა-გვემა და სხვა,—ეს, ალბად, მისი საკუთარი საქმეა.

ხოლო [illegible], ბოლშევიკების პარტიის გამცემლობა გენერალ დენიკინისადმი, საერთაშორისო კონტრ-დაზვერვის წევრის წერეთლისათვის შეადგენდა სამსახურის მოვალეობათა ასრულებას.

ეს გმირული მოვალეობანი დააკისრეს პოლკოვნიკ წერეთელს იუდა ისკარიოტებმა მეორე ინტერნაციონალიდან ს. ბ. [illegible], გეგეჭკორმა, ჟორდანიამ და ყოველგვარ კალიბრის სხვა დამცველებმა მენშევიკური ბანაკიდან.

ი. შაფარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის მიმართ ჩვენ ვმოქმედობთ ამერიკასთან ერთად. ჩვენ ხელს არ ვუშლით რუსის ხალხს. ჩვენ ხელს არ ვუშლით მის თვით-გამორკვევას და მისი შინაური პოლიტიკის მიმართულებას. ჩვენ ვთხოულობთ მხოლოდ მინიმალურ და ელემენტარულ საერთაშორისო გარანტიებს. ასეთ პოლიტიკას გავატარებთ ჩვენ რუსეთის მიმართ შემდეგშიაც.

ვერ შეთანხმდენ შეფასებაში

სტამბოლი. გაზ. „ბოსფორში" მოთავსებულია დიდი სტატია შემდეგი სათაურით: „ნამდვილი მდგომარეობა საქართველოში", რომლის შინაარსი ასეთია: „15 დღის წინათ სტამბოლის ფურცელში „[illegible]" დაიბეჭდა [illegible] წერილი საქართველოსა და ბათუმის მდგომარეობის შესახებ [illegible] საქართველოს მდგომარეობის [illegible] მისი სიტყვებით [illegible] და საქართველოში გამეფებულია [illegible] სრულიად [illegible] კარგათ [illegible] „განსაკუთრებული კომისია", რომელიც [illegible] საბჭოთა ხელის [illegible] მიმართულია [illegible] და [illegible] „[illegible]".

ჩვენ [illegible] ვწოვებთ, სწერს „ბოსფორი", იმ მიზეზებს, რომლებმაც [illegible] ქართველი კომუნისტებისა და მათი მოქმედებისა [illegible] მოვიყვანთ საქართველოს მდგომარეობის ნამდვილ სურათს და იმ „წესრიგს", რომელიც გამეფებულია ამ საბჭოთა რესპუბლიკაში. ჩვენ [illegible] ფაქტებზე, რომლებიც ახასიათებენ ბოლშევიკების პოლიტიკას საქართველოში და [illegible], რაც [illegible] და [illegible] საქართველ-გარეშელ ვ ჰკრებს. ჩვენ მიერ მოყვანილი ფაქტები ისეთია, რომ ვერც ერთი ბოლშევიკების ადვოკატიც კი ვერ შესძლებს მის უარყოფას:

საქართველოში დიდიან ბოლშევიკებია [illegible] და ჩვენ [illegible] კარგათ ცნობილი საბჭოთა რესპუბლიკის ფინანსიური და [illegible] „პოლიტიკა". დღე და ღამე იბეჭდება ქართული ბონები, რომლებსაც უშვებენ ბაზრებში. ამ ბონებით ივსება ბაზარი და [illegible] მათი კურსი. [illegible] ლირა, რომელიც [illegible] ბოლშევიკების მოსვლამდი 2—2500 მანეთი, ახლა საქართველოში 5 თვის ოკუპაციის შემდეგ იყიდება 100,000 მან. ბოლშევიკებს [illegible] გასაკვირველი თანხები. ყოველ [illegible] გაცვლილი საბჭოთა [illegible] უდრის [illegible]. ფულის ფასის დაცემამ და ამ [illegible] ბიუროკრატიზაციამ ერთ [illegible] ფული აღარ იყო. [illegible] მაგრამ ბოლშევიკები, როგორც ცნობილია, [illegible] პირველ ყოფილი [illegible] ფულები საქონლით. შეიძლება მისი შოვნა ბურჟუაზიისაგან, ვაჭრებისა და მრეწველებისაგან. თვეში გაქვთ ამნაირათ დეკრეტი 50 მილიარდი მანეთის გადასახადის შესახებ".

ასე ეკამათებიან ერთმანეთს ორი ბურჟუაზიული ორგანო საბჭოთა საქართველოს ნამდვილი მდგომარეობის შესახებ. დაე, იდავონ.

საქართველოს მუშები და გლეხები კი თავის გაცნობიერებული კლასიური ინტერესების [illegible] განაგრძობენ თავისუფლათ სოციალისტურ სამშობლოს აღმშენებლობას.

ქრონიკა

— სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში სოციალური უზრუნველყოფის სამაზრო განყოფილებათა გამგეთა ყრილობა გადაიდო 1 დეკემბრამდე, რადგან კომისარიატის და სამაზრო განყოფილებათა შტატი [illegible] და [illegible] მთელი საქართველოს [illegible].

— რევტრიბუნალში. ამა წლის 14 ნოემბერს უზენაეს რევტრიბუნალში [illegible] გარჩეული საქმე ილია გოროზიასი, რომელმაც [illegible] ქონების გაფლანგვა [illegible] მაზრის [illegible] მკვლელობა. სხდომა დაიწყობა საღამოს 5 საათზე. საზოგადო ბრალმდებლის წარმომადგენლათ გამოვლენ ლევან [illegible] და ალექსანდრე [illegible], დამცველათ [illegible]. შესვლა ბილეთებით.

— სრულიად საქართველოს ხე[illegible] გამოფენა. სურათებისა და ქანდაკების გამოფენა გაიხსნა საქართველოს მუზეუმის შენობაში (რევკომის პირდაპირ) ამ მიზნისთვის სპეციალურათ დამზადებულ 4 დარბაზში. გამოფენაში მონაწილეობას იღებს 60-მდე მხატვარი და მოქანდაკე—ეს უნახავი რაოდენობაა თბილისისთვის. 600-მდე სურათი და მხატვრობა წარმოადგენენ თანამედროვე ხელოვნების ყველა მიმართულებას რეალისტ-აკადემიკოსებისგან დაწყებული და იმპრესიონისტებით, კუბისტებით და ფუტურისტებით გათავებული. გამოფენაზე დაიარება მრავალი ხალხი.

— ინსპექციის თანამშრომელთა ეკონომიური მდგომარ. გაუმჯობესება. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ოქტომბრის 28-ს სხდომაზე განიხილა საკითხი თავის თანამშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ და დაადგინა: ადგილობრივი თანხებიდან შეიქმნეს ფონდი ინსპექციის თანამშრომელთა დასახმარებლად. ფონდის გასაძლიერებლად აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს რევკომთან.

ბავშვთა კვირა

დ. ჩხარი.

მიმდინარე წლის 14 ოქტომბერს დ. ჩხარში პარტიულ კომიტეტთან დაარსდა „ბავშვთა კვირის" მომწყობი კომიტეტი, ხუთი კაცის შემადგენლობით. კომიტეტი და [illegible] სამაზრო პარტკომის წევრმა ამხ. დიმიტრი [illegible] კომიტეტი [illegible] და სოფლებში კომიტეტების [illegible] ამავე მიზნისთვის. ჩხარის [illegible] კომიტეტი შეუდგა ფულის და ნივთების მოგროვებას. 21 ოქტომბერს მოწვეულ იქნა საჯარო მიტინგი, დღის 12 საათზე. მიტინგს დაესწრო 1500 კაცზე მეტი. მიტინგი გახსნა რაიპარტკომის მდივნის მოადგილემ ამხ. ნიკ. რობაქიძემ. პირველი სიტყვა „ბავშვთა კვირის" შესახებ წარმოსთქვა სანდრო [illegible]ძემ, რომელმაც მოკლეთ გააცნო ხალხს საერთო მდგომარეობა, ომის შედეგები და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობა ბავშვებზე. მოუწოდა დამსწრეთ, დახმარებოდნენ მშიერ და ობოლ ბავშვებს [illegible]. სიტყვა დამთავრდა ტაშის ცემით. შემდეგ ილაპარაკა პეტრე ლოლაძემ, რომელმაც მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას დახმარებისაკენ. და ბოლოს ილაპარაკა ადგ. კომკავშირის სახელით ამხ. ვ. ქ. შოთაძემ. მან მოკლეთ გააცნო ხალხს რუსეთის საბჭოთა მთავრობის მზრუნველობა ღარიბ ბავშვებზე და მოუწოდა საზოგადოებას, დახმარებოდნენ აქ საბ. მთავრობას, რომ აქაც ოდნავ მაინც შემსუბუქებულიყო ღარიბ ბავშვთა ობოლ მდგომარეობა.

ხალხი [illegible] უსმენდა ყველა მომხსენებელს. მიტინგის შემდეგ [illegible] იქნა დახმარება ფულის სახით.

ასე ამ რიგათ დ. ჩხარში შეგროვილ იქნა:

ფული—475.066 მანეთი.

რვეული—28 ცალი, ფანქარი—11 ცალი, კალმისტარი—4 ცალი, კალამი—37, სამელნე—3 ცალი, წიგნი—4 ცალი, ასანთი—1 ცალი, ბავშვის ფეხსაცმელი—1 წყვილი.

რაიონში კომიტეტებთან დაარსებულმა კომიტეტებმა წარმოადგინეს ღარიბ ბავშვთა სასარგებლოთ: სოფ. [illegible]—259.141 მანეთი, და ერთი სამელნე.

სოფ. [illegible]—59.850 მანეთი, ოთხი წიგნი და ერთი რვეული. სოფ. [illegible]—39.650 მან. სოფ. [illegible]—134.200 მანეთი. სოფელ თერჯოლამ—597.325 მანეთი. სოფ. ზედა-საზანომ—238.930 მანეთი და 5 რვეული. სოფ. ქვედა საზანომ—631.350 მანეთი, 3 ცალი წიგნი, ერთი კალმისტარი, 4 ცალი ფანქარი, 6 ცალი სამელნე.

გარდა ამ ზემო ჩამოთვლილ შემოწირულებებისა, დ. ჩხარში, 22 ოქტომბერს გამართულ იქნა ადგ. თეატრში—კონცერტი, პეტრე ლოლაძის ხელმძღვანელობით. ხალხი დიდძალი დაესწრო. კონცერტმა და [illegible] წმინდა შემოსავალი: 305.000 მანეთი.

ასე ამ რიგათ სულ ფულის ჯამი შედგა: 2.740.012 მანეთი.

ყოველივე ზემო ჩამოთვლილი შეგროვილი ფული და ნივთები გადაგზავნილია დანიშნულებისამებრ.

დიდი მადლობის ღირსია ჩხარის რაიონის „ბავშვთა კვირის" მომწყობი კომიტეტის წევრები, რომლებმაც დიდი ენერგია გამოიჩინეს ამ კომპანიის ჩატარების დროს.

მექა.

სასოფლო მეურნეობა

პირველი სამეურნეო კომუნა საბჭოთა საქართველოში

მოხისის კომუნა

(ხუთი თვის მუშაობის გამოცდილება)

მოხისის კომუნას № 1 დაეწყო თავისი მოქმედება ამა წლის ივნისის უკანასკნელ რიცხვებში. პირველათ კომუნაში ირიცხებოდა 11 წევრი 31 სულით; ამის შემდეგ მას კიდევ შემოემატა წევრები [illegible], იქ ითვლება 21 წევრი 61 სულით. ყველა წევრები სოფლის ღარიბესი ელემენტებისაგან შესდგებიან. მათ შორის მხოლოდ სამ თუ ოთხ წევრს აქვს ბინა, დანარჩენები კი შეხიზნულნი არიან მახლობლათ მცხოვრებ ნათესავებთან ან კიდევ ქირით უჭირავთ ოთახები. კომუნის წევრები არიან ხელოსნები: დურგალი, მჭედელი, დალაქი, ხარაზი, [illegible], მაგრამ დღის დღეობით უმთავრესი ყურადღება მიქცეულია ხვნა-თესვაზე, მოხნულია 27 დეს. ამათში დათესილია 9 დეს. ხორბალი, დასათესია კიდევ ხორბალი 5 დესიატინაზე, გაზაფხულისთვის საჭიროთ მოხნულია 8 დეს., კარტოფილისთვის 2 დეს., კომბოსტოსათვის ნახევარი დეს., პამიდორისათვის 1 მეოთხედი დეს., ქარხლისათვის ერთი მეოთხედი დეს., და [illegible]—[illegible]სათვის ერთი მეოთხედი დეს. განზრახულია გაზაფხულზე ქერის მოსვლის შემდეგ დაითესოს „კრუპა" და ამით ერთსა და იმავე მიწაზედ მოიყვანონ ორი მოსავალი. ამ ნაკვეთში ტრაქტორით დამუშავებულია 9 დეს. ტრაქტორის მუშაობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და იწვევს ცოცხალ ინტერესს მიწის მუშათა შორის, დანარჩენი მიწები დამუშავებულია ცხენებით და სოფლის [illegible] რომელიც კომუნის გარეშე [illegible] მხურვალე [illegible] მიიღეს; ამის გარდა კომუნა აწარმოებს მუშაობას მტკვრიდან სარწყავი არხის გამოსაყვანათ, რომელიც მორწყავს [illegible] დესეტინას, და არ[illegible] აქვთ წისქვილს „ტურბინით", რის მოწყობილობაც მზათ არის, გარდა ქვისა და 50 ფუთი ცემენტისა. კომუნას აზრათ აქვს მოაწყოს ამავე წისქვილში და [illegible] 110 ძალით, რაც გაანათებს თერთმეტ [illegible] სოფელს, დაამუშავებს [illegible], რომლის მოწყობილობაც მზად აქვთ თბილისშიც 1 საბჭოთა ქარხანაში (ყოფილ [illegible]).

თავის არსებობის დროის განმავლობაში კომუნას არ მიუღია არავითარი დახმარება ფულით, არც მთავრობის დაწესებულებათაგან, არც წევრებისაგან და არც კერძო დაწესებულებებისაგან, რის გამოც შეუძლებელი იყო ფულის აქტივში [illegible]. კომუნის ქონება შესდგება, შემდეგ [illegible], რომლებიც მიღებული აქვთ საქ. [illegible] სამეურნეო [illegible]: 1) ტრაქტორი „ოთხ ლემეშიანი გუთნებით 2) ცილინდრიანი 45 ძალ.), 2 წისქვილი „Жуковскаго" [illegible], სამი მეოთხედი ოთხის გუთანი, 4) ერთი საქაჩავი, წყლისა, ექვსი ცხენი ([illegible]) სათანადო სამუშაო მოწყობილობით, ათი კურკა, ხუთი ცული, ხუთმეტი რკინის ბარი. ამის გარდა მიღებულია 86 ფუთი და 38 გირვანქა ხავთი, ვაზელინი—47 ფუთ. 30 გირ., ზეთ 5 ფუთი, 2—მიღებული გორის მაზრის რევკომისაგან შემდეგი იარაღები: სათესი მანქანა ორი „[illegible]", ორი სათიბი მანქანა „[illegible]" ერთი ბელტების სანგრევი მანქანა, ერთი ტაჰკა, ორი წყვილი თვალი ფურგონისათვის, ათი წყვილი „ვილკები", ჩვიდმეტი ტილის ქმარი, ოთხი კუხი და საქონლის მოწყობილობა და 3) კომუნის წევრების მიერ შემოტანილი შემდეგი ქონებისაგან: ერთი ცხენი, სამი ხარი, ერთი ძროხა, ერთი ტაჰკა, ორი სადურგლო დაზგა და ერთი კავი. ყველა ეს ზემოხსენებული იარაღი გატარებულია საინვენტარო წიგნში. ამის გარდა კომუნის განკარგულებაშია წევრებისაგან შემოტანილი 22 დესიატინა მიწა სახნავ სათესი, სადაც 5 დეს. (კულტურული მეურნეობისათვის [illegible], რომელსაც წინეთ ეკუთვნოდა სოფლის „კულაკი". [illegible] განყოფილებისაგან [illegible] გადმოცემული 5 დეს. და მოხისის მიწის კომიტეტის მიერ გადმოცემული 15 დეს. რომელიც [illegible] სოფელთან. ამნაირით, დღეს კომუნის განკარგულებაშია სულ 47 დეს. მიწა. კომუნამ კერძო პირებისაგან: 44 ფუთი [illegible] ქერი და პური და გორის სამაზრო [illegible] კომისიის 150 ფუთი ხორბალი, რაც შეეხება კომუნის თვითმმართველობას—[illegible]: კომუნას მეთაურობს ამხ. ლევან [illegible] იგივე კომუნის წევრები [illegible] ყოველ საღამოთი და [illegible] შემდეგი დღის მუშაობისათვის და ზედ [illegible] რამე საქმის გარჩევით. ამ კრებების ოქმები არ უწარმოებიათ ქაღალდის და კანცელარიის მოუწყობლობის გამო. გარდა შემოსავლის და გასავლის [illegible] წიგნისა, რომელშიაც შეტანილია [illegible], სხვა წიგნები არ არის. მთავრობისაგან და სხვა დაწესებულებიდან მიღებული სხვა და სხვა იარაღი უბინაობის გამო არ არის მოთავსებული შენობაში. რაც შეეხება ცხენებს—ისინი მოთავსებული არიან [illegible] ბოსელში.

გარდა სამეურნეო მუშაობისა კომუნა აწარმოებს სასოფლო და კულტურულ მუშაობას, მაგალითად კომუნის წევრები იღებენ მონაწილეობას სასოფლო კრების არჩევნებში, სწავლა-განათლების მზრუნველობაში, კოოპერატივის გამგეობაში და რევიზიაში, გაუკეთებიათ ხიდები ხუთი, შეუკეთებიათ გზები, გამოუყვანიათ [illegible], მათი მეთაურობით მთავრობისაგან ნება დაერთოთ სოფლის პირდაპირ [illegible] გზა, მაგრამ ფულის უქონლობის გამო შეჩერებულა. აწყობენ ჟურნალ-გაზეთების კითხვას და ეცნობიან პარტიულ ლიტერატურით, რომელიც საკმაოთ აქვთ. [illegible] განწყობილება საქმის დაწყებისას [illegible] ყოფილა და თანდათან [illegible] განმტკიცებულა საერთო საქმით, ერთად მუშაობით. [illegible] კარგად [illegible] ამ საქმეს. დღეს კომუნის უპირველესი [illegible] უბინაობა, რომელსაც შეიძლება თავი დააღწიოს მთავრობის სათანადო დახმარებით და ხელის შეწყობით.

ხ. გოდობერიძე.

პარტიული ცხოვრება

დუშეთის მაზრა

სამ ნოემბერს ს. კ. პ. ც. კ. დავალებით ქ. დუშეთში ჩამოსული ამხ. პ. შუშანიას ინიციატივით სამაზრო პარტკომმა მოაწყო რაიონული პასუხისმგებელი მდივნების თათბირი. თათბირს დაესწრო სამაზრო კომიტეტის შემადგენლობის გარდა ოთხი რაიონის წარმომადგენლები სახელდობრ: საგურამოს რაიონის, [illegible],—ბაზალეთის,—ახალგორის,—ყაზბეგის და ფასანაურის რაიონების. პასუხ. მდივნები არ დასწრებიან, პირველი დიდი სიშორის (ასზედ მეტი ვერსი) და ცუდი გზის გამო, მეორის შესახებ კი ჩვენ ვერა გავიგეთ რა.

თათბირზე მოისმინეს [illegible] რაიონული პასუხ. მდივნების მოხსენება რაიონების მუშაობის და მდგომარეობის შესახებ; სამაზრო პარტკომის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. პ. მარტოთაძემ, ცენტრიდან ჩამოსულმა ამხანაგმა პ. შუშანიამ განუმარტა მდივნებს მათი უფლება მოვალეობანი. თათბირზე იყო შეკითხვები, იყო კამათი, რის შემდეგაც მიიღეს შემდეგი რეზოლუცია: დუშეთის სამაზრო კომიტეტის [illegible] პლენუმმა, ცენტრიდან ჩამოსული ამხ. პ. შუშანიას თანადასწრებით, მოისმინა რა მოხსენება რაიონული პასუხ. მდივნების რაიონების მუშაობის და მდგომარეობის შესახებ, შემდეგ მოხსენება სამაზრო პარტკომის სახელით ამხ. პ. მარტოთაძის და ახსნა განმარტება პასუხისმგებელი მდივნების უფლება მოვალეობაზე ამხ. პ. შუშანიასი ის სცნობს მუშაობას როგორც ქ. დუშეთში, აგრეთვე რაიონში არა დამაკმაყოფილებლათ და აღნიშნავს შემდეგ: უმოქმედობა განყოფილებების, კავშირის სისუსტე სამაზრო კომიტეტსა და რაიონულ კომიტეტებს შორის და მეტად სუსტი ინფორმაცია როგორც ცენტრისაკენ, აგრეთვე რაიონებიდან სამაზროში. თათბირი საჭიროთ სცნობს აუცილებლათ მოკლე ვადაში გამოსწორდეს ყველა დეფექტები და ენერგიული მუშაობით მაზრა დადგეს შესაფერ სიმაღლეზე, რაც შეეხება მცოდნე პარტიული [illegible] ნაკლებობას, უმთავრესად პარტიის ცეკას რომ გამოეგზავნოს დუშეთის მაზრაში მცოდნე და ენერგიული პარტიული მუშაკები, რომლებიც გამოასწორებენ მდგომარეობას და ასწევენ მუშაობას სასურველ დონემდე.

ამხ. პ. შუშანიამ გააკეთა აგრეთვე საჯარო მოხსენება ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის კლუბში შემდეგ თემაზე: „საბჭოთა ხელისუფლების ახალი ეკონომიური კურსი და საერთაშორისო მდგომარეობა". მომხსენებელმა აღნიშნა ის ობიექტიური პირობები, რამაც უკარნახა კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას, შემოეღო თავის დროზე დროებით, „რაზვიორსტკას" პოლიტიკა. დაახასიათა მსოფლიოში ორი ძალთა ბრძოლა პროლეტარული და ბურჟუაზიული კლასთა სახით და აღნიშნა გიგანტიური ზრდა მუშათა კლასის, უკანასკნელის ზრდის უმთავრეს მიზეზათ დაასახელა რუსეთის პროლეტარული რევოლუციის არსებობა და გამარჯვება. ხაზი გაუსვა იმ რღვევას და დემორალიზაციას, რომელიც სუფევს ბურჟუაზიულ [illegible] კლასის ბანაკში. მოხსენების ბოლოს იყო შეკითხვები, მაგრამ კამათი, არსებითად საკითხის შესახებ, არ ყოფილა.

მიიღეს შემდეგი რეზოლუცია: მოვისმინეთ მოხსენება ამხ. პ. შუშანიასი შემდეგ თემაზე: „საბჭოთა ხელისუფლების ახალი ეკონომიური კურსი და საერთაშორისო მდგომარეობა", ვთვლით დღევანდელ ნაბიჯს, გადადგმულს კომუნისტური პარტიის მიერ მიზანშეწონილათ და [illegible] მომენტისათვის, დამსწრენი როგორც ერთი კაცი მზათ ვართ მხარი დავუჭიროთ და დავეხმაროთ საბჭოთა რევოლუციონურ მთავრობას, რომ უკანასკნელი [illegible] მომავალი მსოფლიო კომუნისტური რევოლუციისთვის.

საჭიროა ასეთი მოხსენებები სხვა მაზრებშიდაც გაკეთდეს.

წარმოებითი პროფკავშირებში

დაჭრილ-დასახიჩრებულ მეომართა კავშირში.

კავშირის უფლებრივი მდგომარეობა.

ჩვენ დროულად მიგვაჩნია, დისკუსიის სახით, წამოვაყენოთ საკითხი დასახიჩრებულ მეომართა კავშირის ორგანიზაციის ფორმის შესახებ. კავშირის კომპეტენცია, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან დამოკიდებულება, და მრავალი სხვა საკითხები, ითხოვენ ნათელ და გარკვეულ განსაზღვრას. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში, დასახიჩრებულ მეომართა კავშირის შესახებ, ორი აზრი არსებობდა. ერთი აზრის მიმდევრები მოითხოვდნენ კავშირის, როგორც ორგანიზაციის, გაუქმებას, მეორენი კი, პირიქით, მომხრე იყვნენ დასახიჩრებულთა სოციალურ უზრუნველყოფის საქმეში, დასახიჩრებულ მეომართა კავშირის გამოყენებისა, კავშირის კომპეტენციის გაფართოებისა, მისთვის თვითმმართველობის შენარჩუნებისა. საბედნიეროთ, გაიმარჯვა უკანასკნელმა მიმდინარეობამ. თუ რამდენად სწორი გამოდგა ეს შეხედულება, ამას ამტკიცებს თუ გნებავთ ის ფაქტი, რომ კომისარიატის არც ერთ განყოფილებაში არ სწარმოებს ისეთი [illegible] მუშაობა, როგორც დასახიჩრებულ მეომართა კავშირში. ეს [illegible] შეამჩნია სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატმა, რომელმაც დასახიჩრებულ მეომართა კავშირს გადასცა საქალაქო უზრუნველყოფის [illegible] სახელო [illegible]. რა ურთიერთობაა დამყარებული, ნამდვილად კავშირს და სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატს შორის? კავშირს და კავშირის სხვა და სხვა დაწესებულებებს განაგებს დასახიჩრებულ მეომართა კავშირის საერთო კრების მიერ არჩეული გამგეობა, რომელიც თვითვე ნიშნავს თანამშრომელთ და თანამდებობის პირთ. არჩეული გამგეობა, თავის მოქმედებაში პასუხისმგებელია სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის წინაშე და გარდა ამისა დასახიჩრებულთა საერთო კრების წინაშე. სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატი ეხმარება კავშირს მატერიალურად ინსტრუქტორებით, ავტორიტეტით და სხ. აი, ეს ურთიერთობა, რომელიც რეალურად ცხოვრებაში დამყარდა დასახიჩრებულ მეომართა კავშირს და სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატს შორის, ჩვენ გვინდა რომ [illegible] დარჩეს და შევიდეს იმ შეთანხმების აქტში, რომელიც უნდა ჩაიდვას ამ არა დაწესებულებათა შორის.

რაც შეეხება დასახიჩრებულთა კავშირის კომპეტენციის საკითხს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ პრინციპიალურათ ეს საკითხი უკვე გადაჭრილი აქვს მთავრობის დეკრეტს (№ 32) დასახიჩრებულ მეომართა კავშირის შესახებ.

ამ დეკრეტის მე-4 მუხლი ამბობს: „საქართველოს დასახიჩრებულ მეომართა კავშირს ეძლევა უფლება მიიღოს მონაწილეობა რესპუბლიკის ყველა დასახიჩრებულ მეომართა უზრუნველყოფის საქმეში. მასვე ეძლევა მართვა-გამგეობა დასახიჩრებულ მეომართა საჭიროებისათვის დაარსებულ დაწესებულებათა და სახელოსნოებისა. აქ მხოლოდ გამოსარკვევია საკითხი, თუ რანაირი წესით უნდა მიიღოს დასახიჩრებულთა კავშირმა მონაწილეობა რესპუბლიკის ყველა დასახიჩრებულ მეომართა უზრუნველყოფის საქმეში. ამ საკითხის საუკეთესო გადაჭრათ, ჩვენ მიგვაჩნია შემდეგი: ქალაქის თუ მაზრის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებებთან არსდება დაჭრილ-დასახიჩრებულ მეომართა განყოფილებანი, რომლებსაც სათავეში ეყოლება ქალაქის თუ მაზრის დასახიჩრებულთა საერთო კრების მიერ არჩეული გამგეობა ანუ კოლეგია. ეს გამგეობა განაგებს ადგილობრივ დაჭრილ დასახიჩრებულთა საქმეს, მათი საჭიროებისათვის დაარსებულ სახელოსნოებს და დაწესებულებებს. იგივე გამგეობა პასუხისმგებელი იქნება ადგილობრივ სოციალ. უზრუნ. განყოფილებისა და თავის მხრივ ადგილობრივ დასახიჩრებულ მეომართა საერთო კრების წინაშე. თუ ეს ასე არ იქნა, დაჭრილ-დასახიჩრებულ მეომართა კავშირი ვერ შესძლებს, მიიღოს მონაწილეობა რესპუბლიკის ყველა დაჭრილ-დასახიჩრებულ მეომართა უზრუნველყოფის საქმეში. და დეკრეტის ზემოთ მოყვანილი მუხლი ცხოვრებაში განუხორციელებელი დარჩება. საბჭოთა სოციალისტური მართველობის სისტემის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ სახელმწიფოს [illegible] საქმეს აწარმოებს მშრომელთა ფართო მასა. როდესაც ჩვენ მოვითხოვთ დასახიჩრებულ მეომართა კავშირისათვის ფართო თვითმმართველობისა და კომპეტენციის მინიჭებას, ჩვენ იმ მოსაზრებიდან გამოვდივართ, რომ ავამოძრაოთ თვით დაჭრილ-დასახიჩრებულნი, გავაღვიძოთ მათში თვითმოქმედება და პასუხისმგებლობის გრძნობა, მივაღებინოთ მათ მონაწილეობა საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში. ჩვენ გვჯერა, რომ სოციალისტურ საბჭოთა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი ამ მოსაზრებათ [illegible] როდესაც ის დღის წესრიგში დააყენებს საკითხს დაჭრილ-დასახიჩრებულ მეომართა კავშირის უფლებრივ მდგომარეობის შესახებ.

კავშირის შინაურ საქმეების შესახებ შემდეგ წერილში.

გ. მ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 92.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტისა ამნისტიის შესახებ.

დღევანდელ სასიხარულო დღეს, როდესაც სოციალისტური საბჭოთა საქართველო ზეიმით დღესასწაულობს დიდი პროლეტარული რევოლუციის ოთხი წლის თავს, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპ. რევოლუციონური კომიტეტი შესაძლებლად სთვლის შეუმსუბუქოს ხვედრი ყველა იმათ, ვისაც გადაწყვეტილი აქვს სასჯელი სახალხო სასამართლოთა, რევოლუციონურ ტრიბუნალთა და ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ, ან ვისაც გამოძიებაში [illegible] საბჭოთა [illegible] დანაშაულისათვის, [illegible], რომელიც ჩადენილია ამა 1921 წ. თებერვლის 25-მდე და ვისთვისაც თავისუფლების აღკვეთა არ არის უკიდურესი საჭიროებით გამოწვეული.

ამის გამო საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნეს სრულიად სამართლისა და სასჯელისაგან ყველა ის, ვისაც დანაშაული ამა დადგენილების გამოცემის დღემდე ჩაუდენია, იმისდა მიუხედავად, თუ წარმოების რომელ სტადიაშია საქმე და სასამართლოს ან ადმინისტრაციულ რომელ დაწესებულების წარმოებაშია იგი, ხოლო იმ გამონაკლისით, რაც აღნიშნულია ქვემოდ ჩამოთვლილ მუხლებში.

შენიშვნა: მოქმედება ამა მუხლისა გავრცელებულ იქნეს ადმინისტრაციულ სასჯელზედაც, აგრეთვე ადმინისტრატიულის წესით მილიციის მოხელეთა, სახალხო კომისართა და ხელისუფლების სხვა ორგანოთა მიერ დაპატიმრებულებზე.

2. უმაღლესი ხარისხის სასჯელის განაჩენი,—რა დაწესებულებასაც უნდა გამოეტანოს იგი,—გადასინჯულ უნდა იქნეს ერთი კვირის განმავლობაში—სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობის მიზნით.

3. იმ პირთ, რომელთაც ამა დადგენილების გამოცემის დღემდე სასამართლოს და სხვა დაწესებულებათა განაჩენით გადაწყვეტილი აქვთ თავისუფლების უვადოდ აღკვეთა—ყაჩაღობისათვის, გაძარცვისათვის, გაუპატიურებისათვის, სხვისი სიცოცხლის მოსპობის მცდელობისათვის,—უკეთუ ეს ჩადენილია არა [illegible] და გაწიწმატების მდგომარეობაში, ცეცხლის წაკიდებისათვის, ყალბი ფულის მოჭრისა და საბუთის ქაღალდის სიყალბისათვის, დეზერტირობისათვის და საბრძოლო ხასიათის თანამდებობითი დანაშაულისათვის, აგრეთვე დანაშაულის განმეორებელთ (რეციდივისტებს),—ზემოთ აღნიშნული სასჯელი შეეცვალოს თავისუფლების აღკვეთად ხუთის წლის ვადით და ამასთანავე განუწესდეს მათ მკაცრი იზოლიაცია. იმ პირთ—კი, ვისაც იმავე დანაშაულისათვის გადაწყვეტილი აქვს სხვა და სხვა ვადით აღკვეთა თავისუფლებისა, ან იძულებითი მუშაობა,—ვადა დამწყვდევისა ან იძულებითი მუშაობისა შეუმცირდეს ნახევრად, ხოლო ვისაც ნახევარი სასჯელი უკვე მოუხდია, დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნეს დანარჩენი სასჯელისაგან. ის პირნი, ვისაც იმავე დანაშაულისათვის განჩენილი აქვს [illegible] სასჯელი, რაც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, სრულიად განთავისუფლებულ იქნენ სასჯელისაგან.

შენიშვნა: განთავისუფლება სასჯელისაგან ამა დადგენილების პირველი მუხლის თანახმად და სასჯელის ვადის შემცირება, ამა მუხლში აღნიშნული, გავრცელებულ იქნეს პირობით მსჯავრ—დადებულებზედაც. ამა მუხლის შეფარდება—არ უსპობს [illegible] ვადამდე განთავისუფლების შეფარდებასაც.

4. ამნისტია—დამწყვდევისაგან განთავისუფლების სახით—გავრცელებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ პირებზე, ვინც საბჭოთა რესპუბლიკისათვის [illegible] არ წარმოადგენს და იგი არა ვრცელდება მათზე, ვისაც სასჯელი განჩენილი აქვს ან ბრალი ედება: ა) ბანდიტიზმისათვის, ბ) ბოროტ განზრახულებითი სპეკულიაციისათვის, გ) [illegible] ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის, რომელიც [illegible] საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, დ) ჯაშუშობისათვის, ე) სახელმწიფო ღალატისათვის და ვ) კონტრ-რევოლუციისათვის.

5. საქმეები,—ამა დადგენილებაში აღნიშნული წესის თანახმად,—ამნისტიის გავრცელებისა იმ პირებზე, ვისაც ამა დადგენილების მე-3 მუხ. ნაჩვენები დანაშაული ჩაუდენია დადგენილების გამოცემის დღემდე, და ვისი საქმეც ჯერ კიდევ გახილული არ არის სასამართლოსა ან სხვა დაწესებულებათა მიერ,—უნდა გადაწყდეს,—საქმის არსებითი განხილვის შემდეგ,—დადგენილ განაჩენზე დამოკიდებულებით და გამოცხადებულ იქნეს განაჩენის გამოცხადებასთან ერთად.

6. განთავისუფლებულ იქნენ სრულიად სამართლისა და სასჯელისაგან დეზერტირები, რომელნიც ორი კვირის განმავლობაში, დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა მათ საცხოვრებელ ადგილას,—ნებაყოფლობით გამოცხადდებიან,—სამოქალაქო ან სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელთან სამსახურში ჩასარიცხავად.

შენიშვნა: ამა დადგენილების მე-3 და მე-6 მუხ. აღნიშნული შეღავათები გავრცელებულ იქნას აგრეთვე დეზერტირების დამხმარეებსა და დამფარველებზე.

7. ის პირნი, რომლებზედაც ვრცელდება ამა დადგენილების 1, 3, 5 და 6, მუხლის მოქმედება,—განთავისუფლებულ იქნენ სამართალში მყოფობის ყოველგვარი შედეგისაგან, როგორც პირადობისა, ისე ქონებრივისა, — უკეთუ განჩენი და დადგენილება ამ უკანასკნელი შედეგის (ქონებრივის) შესახებ [illegible] ჯერ კიდევ აღსრულებაში მოყვანილი ამა წლის ნოემბრის 7 დღ, და მის შემდეგ, რაც ამა დადგენილების ძალით, იგინი სრულიად განთავისუფლებულ იქნებიან სასჯელისაგან, ან მოიხდიან სასჯელს ამნისტიის შეფარდებისამებრ,—აღუდგინონ მათ ყველა უფლება, რომელიც მოსპობილი ჰქონდათ სათანადო დაწესებულებათა განაჩენით, ან დადგენილებით.

8. განთავისუფლება, ამა დადგენილების ძალით, სასჯელისაგან არ ათავისუფლებს დამნაშავეს მისი დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისაგან; ხოლო იმ საქმეების გამო, რომელიც განუხილველია და მოსპობილ უნდა იქნეს ამა დადგენილების თანახმად, ზარალის ანაზღაურება მოხდება სამოქალაქო სამართლის წესით.

9. დადგენილება ესე არა ვრცელდება იმ საქმეებზე, რომელიც აღძრულია კერძო ბრალდების წესით და შეიძლება შერიგებით გათავდეს.

10. დადგენილება ესე ვრცელდება იმ მსჯავრ დადებულებზედაც, რომელთაც შეეხო ამა წლის მაისის 26-ს ამნისტია.

11. ამა ამნისტიის შეფარდება იმ პირთათვის, ვინც უკვე იხდის სასჯელს და ევალება იმ სასამართლოს ან სხვა დაწესებულებას, აგრეთვე ადმინისტრატიულ ორგანოს, რომლისაც განაჩენით ან დადგენილებით [illegible] პირნი იხდიან სასჯელს.

12. წინანდელი წყობილების სასამართლოს მიერ მსჯავრ-დადებულთათვის ამნისტიის შეფარდება ჰკისრებიათ სახალხო სასამართლოებს იმის მიხედვით, თუ რა ადგილას არის დღეს—საქმის წარმოება; იმ შემთხვევაში, უკეთუ საქმე სახალხო სასამართლოში არ იპოვება, და აღძრულია იუსტიციის განყოფილებათა რაიონში—ამნისტიის შეფარდება უნდა მოხდეს იუსტიციის სამაზრო განყოფილების კოლეგიის დადგენილებით, სადაც სათანადო დაწესებულება გაგზავნის საქმის დედანს; ხოლო ქალ. თბილისში აღძრულ საქმეთა შესახებ ამნისტიის შეფარდება უნდა მოხდეს იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს მომწყობი განყოფილების კომისიის დადგენილებით; [illegible] კომისია შედგება განყოფილების გამგისა და მისი თანაშემწეებისაგან.

შენიშვნა: იმ დადგენილებაში, სადაც ჯერ კიდევ მოწყობილი არ არის იუსტიციის სამაზრო განყოფილებანი, ამნისტიის შეფარდებას აწარმოებენ მაზრის რევოლუციონური კომიტეტები.

13. ყოველი დასამწყვდევი ადგილი მოვალეა სამის დღის განმავლობაში წარუდგინოს დამწყვდეულთა სია ამა დადგენილების მე-11 და მე-12 მუხ. აღნიშნულ დაწესებულებათ.

14. საგამომძიებლო ორგანოებს [illegible]—ამა დადგენილების 1-ლი მუხ. ძალით—მოსასპობი საქმენი,—თავიანთ დასკვნითურთ,—წარუდგინონ მოსასპობათ სათანადო სახალხო სასამართლოს ან რევოლუციონ ტრიბუნალს—ქვე-მდებარეობისამებრ. ამავე დაწესებულებით იგინი [illegible] საქმეს იმ შემთხვევაშიაც, როდესაც [illegible] იქცა,—მოსასპობია საქმე თუ არა.

15. მთელი მუშაობა ამა დადგენილების შეფარდებისათვის დასრულებულ უნდა იქნეს უმოკლეს ვადაზე.

16. თვალყურის დევნება ამა დადგენილების სისწორით და გადაუხვევლად შესრულებისათვის დაევალება იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს მომწყობ განყოფილებას და დამჯ.-გასწორების განყოფილებას, იუსტიციის სახალხო კომისარის საერთო ხელმძღვანელობით.

17. დანარჩენი ყოველგვარი განმარტებისათვის და საჩივრით ამნისტიის არა სწორი შეფარდებისა, ან სრულიად გაუვრცელებლობის გამო უნდა მიმართონ იუსტიციის სახალხო კომისარს, რომელზედაც დამოკიდებულია საკითხის საბოლოო გადაწყვეტა.

18. დადგენილება ესე სისრულეში იქნეს მოყვანილი ტელეგრაფით.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

იუსტიციის სახალხო კომისარი ს. ქავთარაძე.

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარძე.

1921 წ. ნოემბრის 7.

ტფილისი-სასახლე.

საბჭოთა აფხაზეთში

როგორ შეხვდა ნატურალურ გადასახადს მშრომელი აფხაზეთი?

ამ ორი თვის წინეთ აფხაზეთის რევოლუციონურმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი ნატურალურ გადასახადის შესახებ. დეკრეტის ადგილობრივ ფართე მასისათვის განსაცნობათ ყველა პასუხისმგებელი ამხანაგები იყვნენ გაწვეულნი რევკომის მიერ. შემოღებულმა ნატურ. გადასახადმა სასურველი შთაბეჭდილება დასტოვა ფართო მშრომელ მასაში. გლეხები განცვიფრებული უსმენენ ამხანაგების ახსნა განმარტებას ნატურალურ გადასახადზე. რამოდენიმე ნაწილი გლეხებისა, რომელნიც ასე თუ ისე უჭერდნენ მენშევიკების ფიცს ამ სამი წლის განმავლობაში,—ბოლშევიკები თუ მოვიდნენ წაგვართმევენ ყოველისფერსო—ასეთი გლეხობა გულის ფანცქალით ელოდა საბჭოთა მთავრობის მიერ შემოღებულ გადასახადს, მაგრამ ცუდი ხმები არ გამართლდნენ. ახლა კი ურყევათ თვითონ დარწმუნებული არიან, რომ ეს ხმები პროვოკაციას სწევდნენ. გლეხობამ კარგათ იცოდა და დღესაც იცის, რომ უგადასახადოთ ყოვლად შეუძლებელია სახელმწიფოს არსებობა, სახელმწიფოს, რომელსაც ეს ჰყავს წითელი ჯარი და სხვა. კითხვა იყო მხოლოდ გადასახადის რაოდენობაში. გლეხობა დარწმუნდა რომ მენშევიკები [illegible] გადასახადს, უნდოდათ დაეშინებინათ ხალხი. ნიკოლოზის და მენშევიკების დროის გადასახადები მძიმე ლოდივით აწვებოდა [illegible] გლეხობას კისერზე. ამას გარდა ეს გადასახადი მიდიოდა ერთი მუჭა მუქთახორების სასარგებლოთ, ბურჟუაზიის დამცველი ჯარის და ჟანდარმერიის შესანახად. სულ სხვას ხედავს დღეს გლეხი, საბჭოთა მთავრობის მიერ შემოღებული ნატურგადასახადიდან თავისუფლდება უღარიბესი გლეხობა, რომ იმ გარდა კულაკებისა, არავის აწვება მძიმე ლოდივით კისერზე. გარდა ამისა დღემდე თუ ბურჟუაზიის დამცველი ჯარი ინახებოდა მშრომელების ნაოფლარით, დღეს ეს ასე აღარ არის, დღემდე თუ ღარიბი გლეხობის შვილს არ შეეძლო მიეღო სწავლა-განათლება, დღეს უკვე ხედავს მისთვის კარი ღია [illegible], დღემდე თუ სანატორიუმები და აგარაკები იყო ბურჟუაზიისათვის, დღეს ეს მუშათა კლასისაა, ასევე უფასო ექიმობაც, წამლობა და სხვადასხვა.

ყველა ამის შემდეგ თემების და სოფლების კრებაზე თვითონ გლეხებს გამოაქვნდათ რეზოლიუციები, რომ მთელი მათი არსებით ხელი შეუწყონ რევოლუციონურ მთავრობას ნატურგადასახადის სწრაფათ აკრეფაში. მშრომელი გლეხობა უკვე ღრმათ დარწმუნებულია იმაში, რომ საბჭოთა მთავრობა ეს მისი მთავრობაა და მისი ხელმძღვანელი კომუნისტური პარტია არის მისი პარტია.

დღემდე ასე თუ ისე გლეხობის ნაწილში ქონდა გასავალი მენშევიკების აგიტაციას ჩვენ წინააღმდეგ, დღეს ესეც ისპობა სოფლით. დამოკიდებულება გადასახადთან ამის მაჩვენებელია.

ი. ქუჩანია.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—[illegible]შვილის ქ. 136. თეატრი „[illegible]" ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. № 37. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-მე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

— მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible].

— საქ. ახალგ. კომუნისტური კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღება [illegible] 2 საათამდის.

ორშაბათს, ნოემბრის 6 ს, საღამოს 6 საათზე შესდგება

ს. პ. კ. ს. პლენუმის სხდომა კავშირთა ც. გ. და საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტის წარმომადგენელთან ერთად

(მუშათა სასახლე, საბჭოს დიდ დარბაზში).

დღის წესრიგი: 1. მუშათა ბინის პირობების [illegible] კომისიის მოხსენება. 2. მუშათა კოოპერატივის გამგეობის მოხსენება, 3. ს. პ. კ. ს. სამრეწ. ინსტ. განყოფილების შესახებ, 4. მიმდინარე კითხვები.

ამხანაგებს ვთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობის და მეურნეობის გამოფენა

(რუსთაველის პროსპექტი № 19)

ღია იქნება დილის 10—4 საათამდე 10, 11, 12 და 13 ნოემბერს. შესვლა უფასოა.

სახალხო განათლების კომისარიატის შრომის სკოლის განყოფილება

აცხადებს, რომ ახლო მომავალში იხსნება მეცადინეობა ორივე სქესის იმ პირთათვის, რომლებიც წლოვანებით გადაცილებულნი არიან სასკოლო ასაკს (9—15 წლამდე). მეცადინეობა იწარმოებს საღამოებით ყოველ დღის.

ამ სკოლებში შესვლის მსურველებს ვთხოვთ დაუჩქარონ განცხადების შემოტანა კომისარიატში [illegible], წლოვანების ოჯახური მდგომარეობის და იმის აღნიშვნით თუ ვინ სად სწავლობდა და რომელ ენაზე სურს სწავლა.

საბჭოთა.

— სახალხო განათლების კომისარი წინადადებას აძლევს ყველა ორგანიზაციებს, სახალხო განათლების განყოფილების და სახალხო განათლების კომისარიატის ნებადაურთველათ არ გახსნან არც ერთი საბავშვო სახლი და საბავშვო ბაღი.

სახალხო განათლების კომისარი კანდელაკი.

— მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი იძენს ფასით საკერძო პირებიდან წიგნებს, ბროშიურებს და საზოგადოთ ლიტერატურას ძველი სახელმწიფო კონტროლის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის შესახებ. ვისაც ასეთი შინაარსის ლიტერატურა მოეპოვება და გაყიდვა სურს შეუძლიან მიმართოს ინსპექციის სახალხო კომისარიატში საქმეთა მმართველს (რუსთაველის ქუჩა № 24 ზედა სართული).

საქმეთა მმართველის მოადგილე [illegible]ძე.

[illegible] 16,881 [illegible]